გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 135

2023 წლის 14 ივლისი
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საკრებულოს წევრის კობა ბერიანიძის ინიციატივა, რომლითაც ითხოვს „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისის N82 განკარგულებით სოფელ ზეღდულეთში მინიჭებული გეოგრაფიული ობიექტისთვის - N2 ქუჩისთვის და N2 ქუჩის I შესახვევისთვის ძველი სახელწოდების გადარქმევას და 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ლევან მანძულაშვილის სახელის დარქმევას. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ლევან მანძულაშვილის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ლევან მანძულაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისის N82 განკარგულების 26-ე პუნქტით დამტკიცებული N26 დანართში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტის - N2 ქუჩისთვის და N2 ქუჩის I შესახვევისთვის სახელწოდების გადარქმევა და N2 ქუჩისთვის 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ ლევან მანძულაშვილის სახელის, ხოლო N2 ქუჩის I შესახვევისთვის - ლევან მანძულაშვილის ქუჩის I შესახვევის დარქმევა.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**